

1967
1923

შპსი 500,000 მანეთი.

საქართველოს
საგარეო ურთიერთობების
საგარეო ურთიერთობების
საგარეო ურთიერთობების

მედიანტი



№ 9.

პვირა, 23 სექტემბერი, 1923 წ.

№ 9.



542

ჯიუიანი ცხოველი, როგორც მოუხედავსა წინად თავისდა უნებურად ხელს
უწყოგდა გუზ ხალხი.

1089

ნიანგის მოგზაურობა.

დაბრუნდა თუ არა ნიანგი ევროპაში მოგზაურობიდან, ამოიჩემა, რომ ეხლა საქართველოს ზოგი კუთხეებით უნდა დავათვალიეროვო.

მეგობრები არ ურჩევდნენ ამას და ეუბნებოდნენ, რომ ჩვენში მოგზაურობა ნუ გო-

ნია ისე ადვილი, როგორც ევროპის ჰაეროპლანით მოპარპაშებაო, მაგრამ თავისი მაინც არ დაიშალა: გადიდო მკლავზე საწვიმარი წამოსასხამი, დაიჭირა ხელში პატარა სამგზავრო ჩანთა, აიღო ჯოხი, ჩაჯდა ეტლში, რომელიც დაიჭირავა ორ მილიონათ და გასწია რკინის გზის სადგურისაკენ.



აქ მას ცოტა უსიამოვნება შეემთხვა მეტლესთან, რომელმაც დაპირებული ორი მილიონის მაგიერ ოთხი მოსთხოვა. თავის საქციელს მეეტლე იმით ამართლებდა, რომ განოვის ქუჩიდან სადგურზე მოსვლამდი ვალიუტის ფასმა ერთი ორათ აიწია და ბონებმა კი დაიწიაო.

არ შეუდგებოდა იმის აღწერას, თუ რა ჭაბაწყვეტა განიცადა ნიანგმა სადგურზე

ვაგონში შესვლამდი. ამხ. ონისიმემ „ნიანგის“ ერთ ნომერში მხატვრულათ დაასურათა თავისი გამგზავრება, რაც ჩვეულებრივ მოვლენათ გადაქცეულა და რომელსაც განიცდის ყველა, ვინც იძულებულია რკინის გზით იმოგზაუროს, მათი გამოკლებით, ვისაც საკუთარი ვაგონი აქვს.



მოქნეული კევრთხით, ვითარცა მოსე წინასარმეტყველმა მეწამული ზღვა, — გააპო ნიანგმა ვაგონის კარებთან მოზღვავებული ხალხი და შევიდა შიგ.

„რა ქვეყანაშიც შეხვდე იმ ქვეყნის ქუდი დაიხურეო“, — ნათქვამია. ნიანგი პირნათლად ასრულებს ამ თქმულებას. მგზავრებს შორის ქალებიც იყვნენ. ჩვეულება

მოითხოვდა მათთან მსუბუქი არშიყობის გამართვას. ჩქარა შესაფერი საბაბიც გამოჩნდა: ვაგონში შემოვიდა დამგველი ქალი, რომელმაც მტვერის ისეთი კორიანტელი ააყენა, რომ მგზავრები იძულებული შეიქნენ სადმე ზევით ასულიყვნენ. თაროზე აცოცების დროს ნიანგი მიუჩიოდა ერთ ახალგაზრდა ლამაზ ქალს, რომელსაც გაეცნო და აეტორღილა საარშიყოთ. სწორეთ ამ გარემოებამ გადაარჩინა ნიანგის კბილებს ხაშურის სადგურის უფროსი და იქაური მასწავლებელი თაბუკაშვილი, რომლებიც ამას წინათ უდიერათ მოექცნენ „ნიანგის“ რედაქტორს და რომლებზედაც დაქადნილი იყო ნიანგი. არშიყობა არამც თუ აღამიანს, — ნიანგსაც კი ავიწყებს თურმე ხანდახან ყველაფერს.

ბორჯომში მატარებელი დანიშნულ დროზე წუთით წუთში მივიდა. ეს იმის უტყუარი მაჩვენებელია, რომ რკინის გზის საქმეში ათი წლით მაინც დაგვიხვეია უკან*).


მატარებელს ერთი ღია ვაგონი მოსდევდა, რომელზედაც ავტომობილი იდგა და შიგ ვილაც ქალი იჯდა, თავისი ბარგიბარხანით. ეს სურათი ყველას აკვირვებდა, მაგრამ ბორჯომში საქმე გამოირკვა.

ავტომობილი ეკუთვნოდა თურმე საბჭოთა ერთ დაწესებულებას. ავტომობილში მჯდომი და ერთიც ვაგონში მყოფი ქალები კი ეკუთვნოდნენ ამ დაწესებულების ორ პასუხისმგებელ თანამშრომლებს. ქალები მიდიოდნენ აბასთუმანში, ვითომ სააგარაკოთ, საქმით კი საარშიყოთ. ავტომობილი თან მიჰქონდათ სასეირნოთ. ბორჯომიდან აბასთუმანამდი მოგზაურობის დროს, ავტომობილში ორივე ქალები ერთად ვერ მოთავსდებოდნენ, ბარგის სიმრავლის და გულზედადობის გამო. პირველობა რომ მას დარჩენოდა მოგზაურობაში და არა მეორეს, ამიტომ ამ ქალს დროზე მიეღო შესაფერი ზომები და ვაგონშივე ჩამუდარიყო ავტომობილში. ამნაირათ მოგზაურობის პირველობა თუმცა შეინარჩუნა ამ ქალმა, მაგრამ მაგიერში დაჰყარა ავტომობილი მთელ ზაფხულში და თავსაც დიდი ვნება მიაყენა, სასტიკათ გადაუხადა მას მეტოქემ ეს თავხედობა: როდესაც აბასთუმნიდან დაუბრუნა ავტომობილი მეორე ქალის წასაყვანათ, ის აღარ წავიდა იქ, დარჩა ბორჯომში და ავტომობილიც დაიტოვა თავისთვის. ამის გამო, აბასთუმანში წასული ქალი დარდისაგან ქლექში ჩავარდა თურმე, თუმცა არც ბორჯომში დარჩენილს დაჰყარა ხეირი: უზომოთ ბორჯომის წყლის სმით წაიხდინა კუჭი და წონაში თერთმეტი გირვანქა დააკლდა.

ბორჯომში ნიანგს სიხარულით მიეგებენ იქაური მუშები და პურმარილის მაგიერ მთელი ხონჩა საჩივრები მიაართვენ მათ ყოფილ, აწმყო და მომავალ მესვეურებზე.

გერმანიის სამინისტროებიც კი არ იცნობენ ამ ბოლო დროს ისე ჩქარჩქარა,

* ეხლა ხომ წინსვლით არაფერი იზომება, არამედ უკან დახევით, ე. ი. ომამდი არსებულ მდგომარეობით.



როგორც ბორჯომის პატრონები. სათამაშო ბურთივით ხელიხელ საგოგმანები გამხდარა ეს კუთხე. ჯერ ლელო ჯანმრთელობის კამისარიატს აქვს გატანილი, მარა ყოველ წუთში ელის ხელიდან გამოტაცებას. თუ ასე აგორეს კიდევ ბურთივით ეს კუთხე, ტიტველი ხრიოკები შერჩება ხელში მის უკანასკნელ პატრონს. ჯერ ეხლაც საგრძნობლათ შემეჩხრებულა ნაძე-ფიჭვნარი და მათ ადგილას სიმინდის, ქერის და ქართოფილის ყანები ბიბინებენ.

მუშების საჩივრებიდან გამოიკვეთა აგრეთვე, რომ ნიაღვრისგან წალეკილ ბორჯომის ბაღის აღსადგენათ არა ერთი და ორი „შაბათ-კვირული“ ჩაუტარებიათ მათ. იმ დროს კი, როდესაც ისინი ამ „შაფათ-კვირულებზე“ ოფის ღვრიდენ, „სუფთა“ საზოგადოება გადმოლმოდან უცქეროდა და სასაცილოთ არ ყოფნიდა მათი „საქციელი“. ეხლა, როდესაც ყველაფერი მოწესრიგებულია, მუშები შესცქერიან გადმოლმოდან, თუ როგორ დასეირნობს ბაღში საზოგადოების „რჩეული ნაწილი“ და მათ ფეხსაც კი არ აქაჩენებიდნენ შიგ, თუ არ დაყაჩეს ფულები, რაც იშვიათათ „ქაჭანობს“ მუშების ჯიბეში უძირობის გამო. ამრიგათ, ბორჯომის წყალის წყაროები შემოსავლის წყაროებათ გაუხდია ჯანმშეღვლობის კამისარიატს, თუმცა მას ბევრი არაფელი გასდენია მათ აღსადგენათ.

ბორჯომში თუმცა ნათლიმამობიას ჯარ ჰქონია ადგილი, მაგრამ მაგიერში მეტათ განვითარებული ყოფილა ძამიობიე, შემდეგ ნათესაობიე, სახლიკაცობიე და სხვა ამგვარი გადამდები სენი.

გარდა ამისა, ისიც გამოიკვეთა, რომ ბორჯომის წყალს კიდევ ერთი შესამჩნევი თვისება ჰქონია: ადამიანის სტომაქის გაჯანსაღებასთან, მას შესძლებია მთელი ორგანოების გარდაქმნაც. მაგალითად, ადგილობრივი საბავშვო სახლი გარდაუქნია მას საქალბო სახლათ; მუშათა მთლიანი კოოპერატივი კი — კერძო დუქნათ. აგრეთვე გასაოცრათ მოქმედობს ბორჯომის წყალი ადამიანის მესხიერებაზე. აქ მოაგვარავე ქა-

ლებს ავიწყდებათ, რომ მათ ქმრები ქალაქში ჰყავთ დატოვებული და იმ შამაკაცებთან, რომლებიც ქმრების მაგიერობას ეწევიან, არც საყდარში და არც „ზავში“ ერთად არასდროს არ შესულან. მხოლოდ შაბათ-კვირაობით უბრუნდებთ მათ მესხიერება და ისიც მხოლოდ მაშინ, როდესაც თავიანთ ნამდვილი ქმრების რკებს დაეჯახებიან.

ნიაღვრის ნაცნობი ქალის მესხიერებაზე საოცარი სისწრაფით იქონია გავლენა ამ მხრით ბორჯომის წყალმა, მაგრამ მეორე მხრითაც იმოქმედა უარყოფითად: მისი უზომოთ სმით იმდენათ აეშალა კუჭი, რომ მასთან სეირნობა სახიფათო შეიქნა, ამიტომ ნიაღვრა გაღასწყვიტა საჩქაროთ გავრცელებოდა მას და წასულიყო აბასთუმანში.



დიდი ხანია, რაც აბასთუმანში იმყოფება და ამიტომ საუკეთესო ექიმათ ითვლება.

ხეივან ნიაღვრის ზურგზე ჩაქუჩის ბევრი ბრახუნის შემდეგ გამოარკვია, რომ მისი ფილტვები ჯერ დაუზიანებლათ ყოფილა

დაიჭირავა „ტრამოტასაგან“ საუკეთესო ნახევრათ საბარგო „ფორდის“ ავტომობილი და გაუდგა გზას, მაგრამ ვაი იმისთანა მოგზაურობას! ახალციხელი კურტნიანი ვირიც კი უსწრებდა წინ და შურის თვალთ შესცქეროდა ნიანგი თოხარით მიჩინჩრიკე მხედარს, რომელზედაც იჯდა თათარი.


ნიაღვრის ერთათ ავტომობილში, სხვათა შორის, მიემგზავრებოდა ბორჯომიდან აბასთუმანში საჩქაროთ გამოწერილი დოსტაქარი, ცხაკია, რომელსაც იმედი გაუწყდა ავთომყოფის ცოცხლათ მისწრებაზე, მაგრამ მაგიერში მგზავრებს ანუგეშებდა, — შესახვევი მასალა ბლომათ მაქვს წამოღებული და, გზაში თუ რამეს მოიტყბთ, ნუ გეშინიათ, მე შეგიხვევით.

თუმცა ასეთი ნუგეშისმცემელი ჰყავდათ მგზავრებს, მაგრამ მაინც ამჯობინეს ახალციხეში საბარგო ავტომობილში გადაჯდომა და დამტყრევას — დანჯღრევას.

აბასთუმნის ხეობაში შესავალთან მდებარე სოფელ ვარხანაში ადგილობრივ აღმასკომის თავმჯდომარეს, ალექსანდროს, დამოუკიდებელ რესპუბლიკათ გამოცხადებია ეს სოფელი და, თავის ეკონომიურათ გასაძლიერებლათ, შემოეღო სხვადასხვა გადასახადი, მაგრამ ნიაღვრა ყნოსვით იგრძნო რომ აქ რაღაც ცუდი სუნი ტრიალებდა, ერთი მაგრათ დააცხინკვა და შორს გადასტყორცნა აღმასკომის თავმჯდომარე, რის შემდეგ ჰაერი სწრაფათ გაიწმინდა.

აბასთუმანში სამყოფათ თურმე სავალდებულო ყოფილა ქლექით ავთომყოფობა. რადგან ნიაღვრა არ იცოდა თავისი ფილტვების მდგომარეობა, ამიტომ იძულებული შეიქნა ზეინკალ-ხეჩოსთვის მიემართა, ის

თავის ადგილას. ამ ნაკლის გამოსასწორებლათ ხეივან ნიაღვრს „დუშების“ მიღება დაუნიშნა, რომელსაც თითონ აწარმოებდა, შტატების შემცირებაში მოყოლილ ექიმის თანაშემწის მაგიერ.



„ღუშები“ ისეთი შეზავებული გამოდგა, რომ სამი წუთის განმავლობაში ფილტვები მოიხარშა და გავრილდა კიდეცაც. ამის შემდეგ ნიანგს სრული უფლება მიეცა დარჩენილიყო აბასთუმანში ფილტვების გასაჯანსაღებლათ.

რადგან აქაური ღუშები არ არიან ისეთი უკმაყოფილონი თავიანთი მდგომარეობით, როგორც ბორჯომში, ამიტომ ისინი არ შეგებებიან ნიანგს არც პურ-მართლით და არც საჩივრებით. მაგიერში თვით ბუნებას იამა ნიანგის სტუმრობა და მთელ ზაფხულში მოღუშული წარბები მხიარულათ გაშალა.

სიტბოს მონატრულმა მოაგარაკებმა ისარგებლეს შემთხვევით და გამოეფინენ ფიჭვნარში მკურნალი ჰაერის მთელი არსებით შესასუნთქავათ.


„დილას ოქრო ხარ, სტუმარო, სალამოს ვერცხლათ იქცევი, თუ ხანი დაგავიანდა, სპილენძით გადაიქცევი!“



ეს ხალხური თქმულება, ალბათ, ბუნებასაც ჰქონია შეთვისებული: გაშლილი წარბები ისევ შეიკუმხნა, რამდენიმე მხიარული დღეების შემდეგ. მოაგარაკებმა წამოიხსეს საბნები და, სიცივისგან მოკუნტულები, დადიოდნენ საცოდავით ფიჭვნარში.

მესხეთ-ჯავახეთის დიადი ისტორიული წარსულის მოთხრობებმა ნიანგს აღუძრეს სურვილი ამ კუთხის სიძველეთა დათვალიერებისა.

ისტორიკოს სარგის კაკაბაძის თანხლებით ნიანგი გაემგზავრა ძველი ციხე-სიმაგრეების და დანგრეულ ეკლესიების დასათვალიერებლათ. სხვათა შორის ეწვია ის ვარძის შესანიშნავ გამოქვაბულებს. თვით გამოქვაბულებში გამოზრდილ ნიანგს თავის დღეში არაფერი ენახა ამის მაგვარი, მაგრამ ყველაფრის მომსწრე ვარძისადაც არ ღირსებოდა აქნამდის ასეთი სტუმარი. ამიტომ სტუმარ-მასპინძლები გაშტერებით შესცქეროდნენ ერთმანეთს და გაკვირვებით ფიქრობდნენ თავიანთ გულში: სიხმარი იყო, თუ ცხადი ის, რასაც ხედავდნენ.



ნიანგს აკვირვებდა ის, რომ რამდენიმე საუკუნოების წინ გადაცვლილი გმირები ცოცხლებივით გადმოიყურებოდნენ გამოქვაბულის კედლებიდან; ეს უკანასკნელნი თუმცა ყოველნაირი მხეცების მნახველნი იყვნენ, მაგრამ ნიანგის მაგვარი სულიერი კი არ ენახათ ჯერ.

თუ ამდენხანს ცნობილი იყო, რომ მესხეთ-ჯავახეთი შეადგენდა ძველი საქართველოს ეროვნულ და კულტურულ აკვანს, ამერიდან ეს აზრი გაქარწყლებულათ უნდა ჩაითვალოს. ნიანგის და სარგისის გამოკვლევის შემდეგ, ეჭვი აღარავის არ უნდა დაეხადოს იმაში, რომ მესხეთ-ჯავახეთი იყო და არის სამეგრელოს, ანუ ძველი კოლხიდის ერთი განუყოფელი კუთხეთაგანი. დღესაც უცვლელათ არის ამ მხარეში დაცული მეგრული ენა და გარეგნული შეხედულება. განსაკუთრებით ემჩნევა ეს ხელისუფლების წარმომადგენელთა სფეროს. მართალია, აღმოსავლეთ საქართველოს სხვა კუთხეებშიდაც აღმოუჩენიათ ამ ბოლო ხანებში ასეთი მოვლენა, მაგრამ ეს კიდევ უფრო ასაბუთებს ნიანგის და სარგისის გამოკვლევის სინამდვილეს.



ბევრ სხვა გამოკვლევებს გამოუდგებოდა სარგისი, მაგრამ ნიანგმა შეაჩერა, რადგან მას ისტორიული წარსული არ აინტერესებდა იმდენათ, რამდენათაც ისტორიული აწმყო.

ცხენით, ფეხით, ხელფეხით და ხშირათ თავფეხით ხრიოკი გორების აღმართ-დალ-

მართზე მოგზაურობის შემდეგ, ნიანგი დაბრუნდა ისევ ბორჯომში, მაგრამ რადგან ცას ცხვირპირი ჩამოსტიროდა, ამიტომ გაემართა ის იქითკენ, სადაც ცას პირი მუდამ პატარძალივით უღიმის.

გეგმობაგი.

(ამბავი)

ორი კაცი იყო
ერთმანეთის მტერი,
ურთერთის საუნებლად
სცადეს ყველაფერი:
მაგრამ ვერას გახდენ,
დამეგობრდნ ისევ,
და წარსული მტრობაც
დავიწყებას მისცეს.
ერთხელ სანადიროთ
გაემართნ გზასა,
როს გადასცდნ სოფლებს
და მადღენ მთასა,
უცბათ ღამემ უსწრო
თეთრ ვარსკვლავთა ჯარით,
და მაღალ ხევებში
აგუგუნდა ქარი.
ამ დროს ალალ-ბედათ
ერთი კაცი ჰპოვეს,
და ღამის გათევა
თვის ოჯახში — სთხოვეს.
უმფროსი დასთანხდა,
ალარ დაახანა,
და მონადირენი
სახლში წაიყვანა.
ფახშაში მთართვა,
ზრდილობა აჩვენა

და შემდეგ ძილისთვის
იქვე მოასვენა.
თითონაც მათ ახლოს
დაწვა თავის ცოლით,
და ღრმა ძილს მიეცა
ფიქრებ აუთრთოლი.
ყველას დაეძინა,
ერთი სტუმრის გარდა,
ამ ერთს — ქალზე ფიქრი

გულში ჩაუვარდა.
უცებ ზეზე ადგა
და ეწვია ქალსა,
მაგრამ გზა ვერ მისცა
თავის ვნების აღსა.
ქალი ფხიზლად დახვდა
და არ მისცა ნება,
და როს ვერას გახდა,
თავი დაანება.
ქმარს გამოეღვიძა
და ეს გაიგონა,
ცოლის ერთგულება
მეტად მოეწონა.
და თანაც ასე სთქვა:
„ნეტავი ვინ არი?
ოჯახში მივიღე,
სჩანს, ქურდი — სტუმარი.
და ქურდი რომ მოვკლა,
ხომ ბრალი მისია,
სჯობს დროზე მიუზლო,
თუ რისიც ღირსია“!..
სთქვა, ზეზე წამოდგა
ქმარი, ბრაზ მოსული,
მისკენ გაექანა,
ხელთ უჭირავს ცული.
და როს მოუქნია
თავის დასაცლელად,
ქურდმა დამნაშავემ
მოახსენა ხელად:
„სინდისს გეფიცები,
თუ მწამს ღმერთი, ჯვარი,
ამ საქმის ჩამდენი
ამხანაგი არი!
ვითომც ეხლა სძინავს
თავი მოიყრუა,
თუ გსურს მისი მოკვლა,
დაჰკარ ცულის ყუა“!..
(მასში გაიღვიძა
ძველ ღვარძლებმა ერთად,
მტერი — მეგობარი
საფრთხილოა მეტად!)
ის ასეც მოიქცა:
თავში დაჰკრა ცული.
უდანაშაულომ
მყის დალია სული!..

ა. ანელი.

გრამატიკა, ლენინი და ლუნახარსკი.

მეცნიერებისა და საერთოდ სიმართლე-
ქმარტებისათვის წამებულია რიცხვი
უამრავია, მაგრამ მათში მარტო კვალიფი-
ციური, თუ არა ვსცდებით, ას ჩვიდმეტი
უნდა იყოს.

ამ ას ჩვიდმეტს მნათობს ყოვლად უფიცი
ბრბოსა, თუ მათი ხელმძღვანელებისაგან
მიუღიათ უსაშინლესი წამება: ზოგი მათგან-
ნი შექმნილა ხვედრი კოცონზე დაწვისა,
ზოგი ჯვარცმისა, ზოგი სამარცხვინო ბოძ-
ზე გაკერისა და ზოგი, ვინ იცის, კიდევ რა
ტანჯვა-დამცირებისა.

ამ ას ჩვიდმეტ წამებულთ, აგერ ორი-სამი
წელია, ემატება კიდევ სამი ახალი წამებუ-
ლი, რომელთა სახელებაც ჩვენ უკვე აღ-
ვნიშნეთ ამ წერილის სათაურში.

მკითხველმა, შეიძლება, გაიკვიროს და
არა თუ გაიკვიროს, ზოგის აღშფოთებამ,
იქნება, იქამდისაც ააღწიოს, რომ ჩვენს
წინააღმდეგ რაიმე „ზომების“ მიღებაც კი
განიზრახოს.

როგორ? იკითხავს ის: გრამატიკის წამება
კიდევ მოსათმენია და „პედაგოგიურის
თეატრის“ ხშირად დასაშვებიც, მაგ-
რამ ლენინსა და ლუნახარსკის, ამ მართ-
ლაც რომ მეცნიერებისა და რევოლუციის
მნათობებს და გენიოსებს, ვინ გაუბედა წა-
მება? ან თუ ისინი მართლაც აწამეს, ჩვენ
სად ვიყავით აქამდის და რატომ ვერა გა-
ვიგეთ რა? არა, აქ უეჭველია რაღაც ეშმა-
კობა იქნება. მაგრამ ნუთუ ასეთი მძიმე და
საპასუხისმგებლო ეშმაკობა და განზრახ

ცილისწამება დაუსჯელათ ჩაუვლის, ონი-
სიმეა, თუ ვილაც ოხერი?!

ჩვენ გვინდა წინ და წინ დავაშვიდოთ
ასეთი „ტემპერამენტიანი“ მკითხველი და გა-
ვფრთხილოთ, რათა თავი შეიკავონ ჩვენზე
ნაადრევი აზრის შედგენისაგან და მოუსმი-
ნონ ფაქტებს.

ფაქტები კი „ქვებსაც ალაპარაკებნო“,
ნათქვამია.

ჩვენ წინ და წინ ვიციტ ჩვენი „ტემპერა-
მენტიანი“ მკითხველის ამბავი და იგი, ქვე-
ბის ხსენებაზე, შეჰქველია, სასაფლაოსკენ,
ან რომელიმე ძველი აკლდამისაკენ მიიშ-
ვერს ოცნების ცხვირს. მაგრამ კიდევ გა-
ფრთხილებთ ასეთებს, რომ ნუ აპყვებიან
გიჟ ოცნებას, ვინაიდან ჩვენ გვინდა ავა-
ლაპარაკოთ ფაქტებით ქვები არა რომე-
ლიმე აკლდამისა, სასაფლაოსა, თუ ეკლე-
სიაზე, არამედ ეს ქვები თავისთავად ლაღ-
დებენ აქ, შუაგულ ქალაქში, და ისიც—სა-
ხალხო განათლების კომისარიატის კედელზე.

ჩვენ რომ ჩვენი „ტემპერამენტიანი“ მკით-
ხველის ამბავი ვიციტ, იგი ამ სიტყვების
წაკითხვისთანავე წამოგარდება, მიიჭრება
სახალხო განათლების ბინაზე და გაშმაგე-
ბით დაუწყებს კედლებს თვალიერებას.

ეს კიდევ არაფერია.

მოსალოდნელია, რომ უჩვეულო დროს
მოუხდეს მისვლა კომისარიატში და რაიმე
კონფლიქტიც მოუვიდეს ადგილობრივ „მეა-
ცრი წესების“ მოყვარულ კამენდანტთან.
აი, რისა გვემინია ჩვენ.

ყველა ამბავის თავიდან ასაშორებლათ,
ჩვენ იმდენათ კაცთ მოყვარე ვართ, რომ
კიდევ ვაფრთხილებთ ჩვენს დაუდგომელს
მკითხველს: არც ერთი ეს ზომა საჭირო არ
არის. სრულიად დამშვიდებულათ, დღე და
ღამის რომელ დროსაც გენებოსთ, მიბრძნ-
დით კომისარიატის ბინასთან, აპყვეით აივ-
ნის კიბის საფეხურებს და აუჩქარებლათ
აბრძანდით თვით აივანზე, რომელსაც ცე-
მენტის იატაკი აქვს. თუ მუხლების რევმა-
ტიზმისა, ან ფეხებში რაიმე ქარების აშლა-
გაზეადების შიში არა გაქვთ, რამდენიმე
წუთით შეჩერდით აქ და თქვენი მხედვე-
ლობის ისარი მიაპყროთ ცივსა და ნაცრის
ფერს კედელს, რომელზედაც მიხაკის ფერი
მოზრდილი ასოებით ხუთ სხვა და სხვა ად-
გილას და ამდენივე სვეტად სწვრია შემდეგი:


სვეტი პირველი:

„კარგათ რომ იცხოვრო უნდა მეტი აწარ-
მოო და მეტს წარმოებას მეტი ცოდნა
სჭირია.“*)

ამის წამკითხველი, შეჰქველია, მოგვი-
ბრუნდება და გვეტყვის:

„სრული კეშმარტებაა, რომ მეტს წარ-
მოებას მეტი ცოდნა სჭირია, მაგრამ როცა
აღამიანი რაიმე აზრს წერილობით გამო-
სთქვამ, რაც უნდა ბრძნული იყვეს ის აზ-
რი, სასვენი ნიშნები დაწერილს მაინც თავ-
თავის ალაგას უნდა და დაწერილსაც გრა-
მატიკულად გაშალაშინება, თორემ უამი-
სოთ, რაც უნდა კარგათ „იცხოვრო“, თუნ-

*) ტექსტი უცვლელის მართყვით, სიტყვა-სი-
ტყვით გადმოღებულია თითონ ონისიმეს მიერ.



ცნობილმა ექსპერსიონისტმა მხატვარმა — სიკინქილაძემ დასწერა სამხატვრო
სალიტერატურო ჟურნალის — „ზღმარტლის“ — შესანიშნავი ტექნილი ყდა, რისთვი-
საც ამ დღეებში მიიღო უდიდესი პრემია ქ. მიუნქენში. (დარჩეს ჩვენში და...
პრემია კი არა, სიგრძის განად მოქცევის ღირსია ასეთი სისულელისათვის).

დაც კიდევ უკეთესად სწერო, მაინც ვერა-
ვინ ვერაფერს გაგიგებს.

სვეტი მეორე:

„პროფესიონალი ცოდნა საფუძველია
ქვეყნის ეკონომიური სიმტკიცის“.

პროფესიონალები ასეთი „ცოდნის“ გა-
რეშედაც კი ესაფუძვლებიან ცხოვრებას,
თუ შრომის ბირჟამ მოახერხა მათი გონივ-
რულად და მიზანშეწონილად გაწესრიგება.

სვეტი მესამე:

„პროლეტარიატის შემოქმედება განათ-
ლების ფარგლებში უნდა გამოჩნდეს ყვე-
ლაზე თვალ საჩინოთ. მიუხედავად განად-
გურებისა ჩვენ გვაქვს უფლება იმედი
ვიქონიოთ მუშათა კლასის ენერგიის და
ხალხის აწვევისადმი და მის მომავალზე, —
სახელდობრ ამ მხრივ, ამ სფეროში.

ლუნაჩარსკი“.

ყველაფრიდან სჩანს, რომ ციტატა ეკუ-
თვნის დიდათ პატივცემულ ამხ. ლუნაჩარ-
სკის. ვისაც ამხ ლუნაჩარსკი პირადათ უნა-
ხავს, იმისი სიტყვა მოუხსენია, ან ნაწერი
მაინც უკითხავს, იგი, რა თქმა უნდა, არამც
და არამც არ დაგვეთანხმება, რომ ამხ.
ლუნაჩარსკი ასეთ ფორმაში ჩამოჰქნიდა თავ-
ის აზრს, რაც უნდა „ბრძნული“ ყოფილი-
ყვეს ის. ცხადია, აქ საქმე გვაქვს, გრამატი-
კის წვალეხასთან ერთად, ამხ. ლუნაჩარსკის
წამებასთანაც, თორემ ყოვლად დაუჯერე-
ბელია, რომ, რაც უნდა ყასიდათ და სა-
ხელდახელოთ ესწავლა ამხ. ლუნაჩარსკის
ქართული ენა და გრამატიკა, მას მაინც
ასე დამახინჯებული ქართულის თქმა და
დაწერა ეკადრებოდა.

შეიძლება ამხ. ლუნაჩარსკის ასე აშკარად
კედელზე გაკვრა გასამართლებელიც იყვეს,
ვინაიდან ეს ხდება სახალხო განათლების
კომისარიატის კედელზე და არა სადმე

სხვაგან, მაგრამ ის, რაც უკადრებით იქვე
ცოტა მოშორებით ამხ. ლენინისათვის, ეს
კი ყოველ მოლოდინს სჭარბობს.

მაგრამ წაიკითხეთ ისევ თითონ თქვენ.

სვეტი მეოთხე:

„პოლიტიკური განათლების მთავარი მმა-
რთველობა ხელმძღვანელობს კომუნისტურ
განათლებას. ქობ-სამკითხველოებს, კლუ-
ბებს, სახალხო-სახლებს, წიგნთ-საცავების
კურსების, სტუდიების, თეატრებისა და
წერა-კითხვის სკოლების საშუალებით იქმ-
ნება ახალი პროლეტარული კულტურა.
ხდება ლიკვიდაცია პოლიტიკურ და ტეხ-
ნიკურ უფიცილობისა. ეწყობა ქვეყნის ეკონო-
მიური და სამეურნეო ცხოვრება. ამზადებს-
რა მშრომელთა მასებს — პოლიტიკურ გა-
ნათლების მთავარ მმართველობა განამტი-
ცებს საქართველოს მუშათა და გლეხთა
მთავრობას“.

ცნობილისა რომ ამხ. ლენინს სულით და
გულით უყვარს საქართველო, რადგან ამ
ქვეყნის პროლეტარიატის რევოლუციო-
ნურს წარსულს ის შესაფერისად აფასებს,
მაგრამ იქ, სადაც სიტყვა „საქართველო“
ჩვენ მიერ ხაზ გასმულია, ამხ. ლენინი სა-
ქართველოს ნაცვლად შეჰქველად სხვა რო-
მელიმე სიტყვას იხმარდა, რომელსაც, გარ-
და ამხ. ლენინისა, ვერავინ ვერ გაბედავდა
ეთარგმნა „საქართველოდ“. ცხადია, გრამა-
ტიკასთან ერთად, აქ კედელზე გაკრული
უნდა იყვეს თვით ამ სიტყვების ავტორიც.

მაგრამ ეს ცოტაა. წაიკითხეთ მეხუთე
სვეტი.

აი ისიც:

„არ მოიპოვება სხვა გზა საბჭოთა ხე-
ლის უფლების გასაღრმავებლათ და განსა-
მტკიცებლად, გარდა იმ გზისა რომელზედაც
დღეს სდგასაბჭოთა სახელმწიფო. ან ეს

გზა უნდა ვარჩიოთ ან კიდევ ის გზა, გზა კაპიტალისტ მყვლეფელების მშრომლებზე ბატონობისა აუტანელ ტანჯვისა და მოთმინების პროცესში სრულდება დღეს მშრომლებში ამ კეშმარიტების შეგნება განათლების მუშაკებმა ეს პროცესი უკვე დაამთავრეს და ახლა მათი მოვალეობაა გავიდნენ ფართო მასებში და დაიკავონ გამოცდილი მასწავლებლისა და დამრიგებლის ადგილი. ამ რიგით მათ ნათლათ შეაგნებინონ მშრომლებს წარმოებული ბრძოლის მნიშვნელობა უნდა ბრმა და უცხო იყო ხალხისთვის, რომ ვერ მიხვდნენ წარმოებული პოლიტიკის მთელი სიბრძნეს უნდა იყო ხალხისა და განათლების მტერი რომ მშრომლების მიერ დანთხეულ სისხლის წვეთებში და შრომის ოფლში ვერ განსკვრიტო მთელი სიღრმე სიძლიერე მშრომელთა მასების დიქტატურის და მისი ნაყოფიერებისა. ამ კეშმარიტების შესაძლებლობა დღეს უკვე ნათელია მრავალ მილიონიან მუშათა წრეებისათვის პროლეტარულ მუშათა და გლეხთა რევოლუციის წყალობით. განათლების მუშაკი შრომის შეიღია და იგი ყოველთვის მზათ იქნება შრომის დაძახილზე მისი მოვალეობა იქნება ახსნა განმარტება ფართო მასებისათვის წარმოებულ წეს წყაბილების და ბრძოლის პროცესის მნიშვნელობისა და მითითება იმ საშვალეებისკენ, რომლებიც გაუადვილებენ მშრომლებს ამ დიად ბრძოლის დამთავრებას.

ლენინი“.

დიდათ არც კი იყო საჭირო, რომ ამ სიტყვების ქვეშ მოეწერათ სიტყვა „ლენინი“, ვინაიდან უამისოდაც გასაგებია, რომ ასეთი რკინისა და ცეცხლის სიტყვების თქმა მხოლოდ ამხ. ლენინს შეუძლია. გასაგებია ისიც, რომ ისეთი მკედელი, რომელსაც აქ ამხ ლენინის სიტყვების ხელმეორედ „გადაქედა“ მოუწოდებია, ვერ მორეოდა დასამუშავებლათ იმ „რკინას“, იმ მასალას, რომლისგანაც სჩვევია ამხ. ლენინს თავისი ცეცხლოვანი სიტყვების ვართვა. მაგრამ აქვე, თუმცა ერთ ადგილს და ისიც მკრთალად, დაკვირვებული თვალი მაინც შეამჩნევს, რომ, ქართულ გრამატიკასთან ერთად, ნაწამებია თვითონ დიდებული ავტორიც, რომელსაც წამების აგონიაში, სიტყვა — „განმარტების“. ნაცვლად, წამოსცდენია „განმარტება“, რითაც ცხადუყვია თავისი არაქართული ჩამომავლობა.

ამბობენ: „ტანჯვაშიაც არის თავისებური სიმშვენიერეო“. ეს დებულება აქაც გამართლებულია:

მთელი წარწერა ისეთი მხატვრული სილამაზით არის შესრულებული, ნამდვილი მხატვრობის წეს-კანონების დაუცველად, რათქმა უნდა, რომ ადამიანს თვალი და გულისყური ძალაუნებურად ზედ გრჩება.

ალბათ, უკვდავ შემოქმედს არ დაუზოგავს ძალა, საღებავი და სხვა „საშვალეებიც“ თავისი სახელის უკვდავ—საყოფად!

ონისიშე.



სტუდენტები მოსულან
უკვე სასწავლებელში,
მჭადის ფქვილს მოათრევენ,
საწყლად მოხრილან წელში!..

სამი ნოგათი.

I.

ერთი ჩემი მეზობელი მიდიოდა გზასა შორსა და წასვლისას შინ სტოვებდა ის ფეხმძიმე თავის ცოლსა, მაგრამ, როცა შორდებოდნენ (მხოლოდ, ღმერთო, შენ ეს იცი, თუ რამდენჯერ იმათ დასდევს ერთგულების აღთქმა-ფიცის!) ხენვით უთხრა ქმარმა ცოლსა: „ღვთის კურთხევა მუდამ გქონდეს, ერთგული ხარ—და შენს ღალატს არ მოველი არასოდეს.

ნუ იჯავრებ! იმედი მაქვს და გულითაც ამას ველი, რომ შინ მოსულს დამიხვდები შენ სრულიად შეუცვლელი!“... ცამ ისმინა მის ვედრება, ააშორა ზრუნვა-ჯავრი: ერთი წელი რომ გავიდა, შინ დაბრუნდა ჩვენი მეზავრი, კართან ცოლი მიეგება, ერთგული და მოციმიციმე, ისევ „სრულათ შეუცვლელი“: კვლავ საფე და კვლავ... ფეხმძიმე...

II.

ქალაქიდან ჩამოსულმა „დიდმა კაცმა“ ერთხელ ბავშვებს რომ შეხედა ერთ სოფელში, ცელქებსა და მოთამაშეს, იმათ მამას, ვინმე პეტრეს, მან შესძახა ეს სიტყვები: „ვიშ, რა კარგი ბავშვებია. ცელქები და ჯანსაღები!

კი არა გავს ჩვენსა ბავშვებს, მუცელ მტკივანს, ზანტებს, კიანს, საცოდავთ მოკნავილეს, ყვითლებსა და მუწუკიანს.

ერთი მითხარ, ჩემო პეტრე, ვიცი, რომ მკი კარგათ ყანას, მაგრამ, ნეტავ, რით ახერხებ ასეთ ბავშვთა გამოყვანას?!

რომ ვისწავლოთ ჩვენც ეგ ხერხი, აღარ გვყავდეს ბავში გლახა“: მაგრამ პეტრემ საპასუხოთ ეს სიტყვები გადასძახა:

„როგორ გითხრა? ღვთის შეწვევით ასეთები გამოგვყავთო; მაგრამ ჩვენი... პირად შრომით, სხვების დაუხმარებლათო!“...

III.

დაქორწინდა მიკიტანი, მოიწვია მან სტუმრები, მაგრამ ბრაზით აუწითლდა მეორე დღეს მას ყურები.

ცოლს პატარა რომანისთვის საყვდური უწყო მანა და ყვიროდა მიკიტანი, რომ მოსტყუვდა ის მისგანა!..

მაგრამ ცოლმა უპასუხა:

„სუ! დამშვიდდი, ჩემო კურო, და გაშინჯე: რა ცოდვაა, მე რომ ერთ კაცს მოვატყუო, როცა ძველმა საქმროებმა, — იქნებ შენ ეს არა გჯერა, ერთი ცოდვა არ მაქმარეს, შემაცდინეს ორას ჯერა?!



იტალია — საბერძნეთს: გესმის, შენ არამზადავ?!.



საბერძნეთი — ალბანეთს: გესმის, შენ არამზადავ?!.

ემილ ვერხარნს.

„მკედლი“-ს გამო, რომელიც მოთავსებულია „რუბიკონის“ № 14-ში.

P. S. ამ ლექსის აწყობის დროს დაიკარგა დედანი, ამიტომ ლექსის გასწორება შეიქმნა შეუძლებელი. (თქმულება ისაია წინასწარმეტყველისა, წიგნი მე-X-ე, თავი მე-XX-ე).

გაზეთ „რუბიკონს“¹⁾ შემთხვევით ამბავი მწარი:

¹⁾ რუბიკონი იქცა გლუბიკონათ, გლუბიკონი-წრუბიკონათ.

ჯერ დაუბეჭდავს

„ვერხნაგამი“ ემილ ვერხარნი, თითქოს ლექსს არა,

მიწას ჰბღღვნიდეს „ყანწებით“²⁾ ხარი და მკითხველთ თვალში ცვივა მიწა, მუნ მონათხარი...

ლექსი ლექსს არ ჰგავს:

არც ძველია, აღარც ახალი,

²⁾ ყანწები — ხარის რქები.

ყვავსაც კი მოსწონს
თუმცა თვისი უშნო ბახალი,
მაგრამ მეოსანი,
იყვეს თუნდაც „ნაპარტახალი“,
მოვალე არის,
გაარჩიოს ნამჯისგან — ხალი

და რომ ზოდისში
მოეხადა მკითხველთა წინა,
მან ხრიკი წერხად
ლექსის ბოლოს გამოატყვერინა,
დედნის დაკარგვა
მიზეზათ რა გამოაფინა,
პასუხის გებას
თითქოს თავიც მით დაადერინა!..

მაგრამ ვინ სთარგმნა
იგი ლექსი, თუ არ მთარგმნელმა?
ნუ თუ მარჯვენი
არ სცნობს, რაც ჰქნა მარცხენა ხელმა?
მაშ, დედნის საქმე
რისთვის უნდა მოიცვას ბნელმა?
თარგმნის სწორება
თავს არ იღო რისთვის მთარგმნელმა?!

მაგრამ აქ ძაღლის
კუდმა თავი საფლავს აჭია,
ალბათ, რომ ძაღლის
თავიც იქვე, კუდ ქვეშ მარხია,
გატიტვლებულიც
თვით მთარგმნელის მუნვე მარცხია!
„სულელ“ მკითხველზე
კი ეს ყველა, ვფიქრობთ, ახია!..

ჰაზირა.

გამოსაღება.

ნინუცა ცურგუმელაძემ შეიფიფქა სახეზე პუდრი, დაისოლა ენაზე თითი, გადისვა წარბებზე, შეიხუჭუჭა ყურებთან თმის კულულები და მოემზადა წასასვლელათ.

საყდრების დახურვის დიდი მომხრე იყო ნინუცა, მაგრამ ეხლა ყოველ შემთხვევისთვის სწრაფად გადიწერა პირჯვარი და თუმცა დარწმუნებული იყო იმაში, რომ არავინ უყურებდა, მაგრამ მაინც მიიხედ-მოიხედა იქით-აქით.

ნინუცა რამდენჯერმე ყოფილა შკოლის გამოცდებზე და ყოველთვის წარმატებით ჩაუბარებია ეგზამენები, მაგრამ მაინც ვერ შეეჩვია და გული მუდამ აჩქარებით უტემდა ხოლმე გამოცდების წინ.

მართალია, ეხლა ის შკოლაში არ მიდიოდა, არამედ პარტუჯრედში, სადაც პოლიტ-ცოდნის შემოწმება ხდებოდა, რაც არც ისე საძნელო საქმე იყო, მაგრამ ნინუცა მაინც არაფეულულებრივ გრძნობას განიცდიდა.

როცა ნინუცა უჯრედში მივიდა, ყველა წევრები უკვე თავმოყრილი იყვნენ და ელოდნენ გამომცდელის მოსვლას. ცხადი იყო, რომ ყველანი იმავე გრძნობას განიცდიდნენ, რასაც ნინუცა, მაგრამ ცდილობდნენ ამის დაფარვას და აქითურ-იქითურზე მუსაიფობდნენ. კარის ყოველ გაღებაზე ათეული წყვილი თვალები გაფაციცებით მიაჩერდებოდნენ ახალ შემოსულს.



თავის გართობა თვალსაჩინოობის ხელსაწყოთა ინსტიტუტში.

რამდენიმე წუთის ლოდინის შემდეგ, შემოვიდა ახალგაზრდა ქალი, პორთველით ხელში. რადგან ახალ მოსული, — ენია ხაყერაძის ქალი, — ამ უჯრედის წევრათ არ ირიცხებოდა, ამიტომ ყველა მიხვდა, რომ ის იყო გამოგზავნილი მათ გამომცდელათ.

რადგან ენია არც ისე დიდი ხნის პარტიის წევრი იყო და არც სათანადო მომზადებული, ამიტომ უჯრედის წევრთა შორის ჩუმი უკმაყოფილების მითქმა-მოთქმა შეიქმნა. უჯრედის თავისადმი მტრული განწყობილება შეამჩნია ენიამ და მოინდომა საქმის გამოსწორება.

— აშხანაგებო, — განაცხადა მან კრების გახსნისთანავე, — მე აქ ეხედავ ისეთ ამხანაგებს, რომლებიც, არამც თუ ჩემგან საჭიროებენ გამოცდას, არამედ მე თითონ ბევრს რასმეს მასწავლიან. ასეთებს, რა თქმა უნდა, მე მარტო ფორმის შესრულებას მოვსთხოვ. გამოცდას მოვახდენ მხოლოდ იმ ახალ პარტიის წევრებზე, რომელთათვისაც ეს აუცილებელია.

ამ განცხადებით ენიამ (კოტათი შეამსუბუქა მის საწინააღმდეგოთ გაქცეითილი ატმოსფერო და დაიმედებულმა, რომ აღარაფერ უსიამოვნებას აღარ ექნებოდა ადგილი, — შეუდგა გამოცდებს.



ბუფფი!!!

— რა ამბავია? რა მოხდა?!

— „არაფერი, აი, ჩვენს „გოსიზდატსა“ (სახელმწიფო გამომცემლობა) განუზრახავს გამოსცეს მისტერია — „ბუფი“-ის თარგმანი“.

— უჰ! მე კი მეგონა, იაპონიაში მიწისძვრა განმეორდა მეთქი.

პირველათ მან გამოუძახა ნინუცა ცურგუმელაძეს, როგორც ყველაზე ახალგაზრდა პარტიის წევრს და პოლიტკოდნაში მოუშა-დებელს.

ენიას წინააღმდეგ გადაწყვეტილი ჰქონდა, რომ ძნელი შეკითხვებით ჩაეჭრა ნინუცა და ამნაირათ თავისი პრესტიჟი აეწია დამსწრეთა თვალში.

მართლაც ნინუცამ ვერ მისცა შეკითხვებზე შესაფერი პასუხი და ენია დღესასწაულობდა თავის გამარჯვებას.

მაგრამ მოულოდნელათ ისეთი ამბავი დატრიალდა, რასაც არავინ არ ელოდა.

როდესაც ენიამ ძნელი შეკითხვებით საკმაოდ დააბნია ნინუცა, შემდეგ გადავიდა დამცინავ კილოზე:

— ამხანაგო ცურგუმელაძე, იქნებ უფრო მსუბუქ შეკითხვებზე მომცეთ მაინც დამაკმაყოფილებელი პასუხი?.. ვინ და როგორ აწარმოებს ქალთა შორის მუშაობას?

დაბნეული ნინუცა სწრაფად მოვიდა გონს. თვალეში მას სიბრაზის ნაპერწკალმა გაუელვა. ნინუცამ მოინდომა ენიასთვის სამაგიეროს გადახდა ისე, რომ დაბადება დაეწყევლინა მისთვის. მას გაგონილი ჰქონდა ენიაზე ერთი საიდუმლო, რის შესახებ დაახლოებული ამხანაგები ყურში წასჩურჩულებდნენ ერთმანეთს და სიცილს ვერ იკავებდნენ.

ამ შეკითხვაზე საპასუხოთ ყველანი ელო-

დენ ნინუცასაგან ქალთა განყოფილების გამგის ნაცნობი სახელის გაგონებას, მაგრამ უსაზღვრო იყო მათი გაკვირვება, როდესაც მან გარკვევით წამოსთქვა იმ კაცის სახელი და გვარი, რომელსაც ქალთა განყოფილებასთან არავითარი დამოკიდებულება არ ჰქონდა, მაგრამ ჟენიას საიდუმლოებასთან კი მჭიდროდ იყო დაკავშირებული.

დამსწრეთა შორის ჩუმი ჩოჩქოლი შეიქმნა, რადგან ზოგიერთებმა იცოდნენ ამ საქმის ვითარება.

ჟენია შეკრთა, ფერი ეცვალა, მაგრამ თავი შეიკავა და ვითომცაქ არაფერი ამბავიო, — განავრძო და ცინიკითვე შეკითხვა:

— ახალგაზრდათა კომკავშირში ვინღა აწარმოებს მუშაობას?

გაიოზ დედარიანის და გორდელაძის სახეებმა გაუფლვით გონებაში ყველას, მაგრამ ნინუცამ თითქოს არც კი იცის ახალგაზრდათა ამ ბელადების არსებობაო, — ხმა მა-

ლა დაასახელა ერთი ამხანაგის პატარა ვაჟი, რომელიც იყო ჟენიასა და ზემოხსენებულ კაცს შორის საიდუმლოების უნებლიეთ გამომჟღავნების მიზეზი.

ამის გაგონებაზე სიცილის შეკავება დამსწრეთათვის შეუძლებელი შეიქმნა.

ჟენიას კი ერჩია, რომ მიწა გახეთქოდა და ცოცხლითვე ჩაენთქა ის. ისე დაიბნა, რომ პირში ენას ვეღარ იბრუნებდა; თვალებზე მომდგარი ცრემლები აღრჩობდნენ. წამოავლო ხელი თავის პორთფელს და ქვითინით გავარდა გარეთ.


გამოცდები გადაიღო...

კაპანულეთა.

აგესალო და ათარი

სცენა უკანასკნელი მოქმედებიდან.

ეს უკანასკნელი სცენა საგანგებოდ დაიწერა ძღვნად და საჩუქრად სამარადისოდ,



„იავ, ნანა; ვარდო, ნანა, ცეკავ, ნანინაო, მოისვენეთ, ვერასოდეს ვერ წახვალთ შინაო. ანტანტის მკერდს მიგიგნიათ თქვენ ტკბილი ბინაო, განისვენეთ ბურჟუათა წიაღსა შინაო... გეყოთ, რაც რომ აამყრალები (უკაცრაოდ: „ააყვავეთ“) სამშობლო კერაო, თქვენმა ჭორმა და ტყუილმა ხომ მოლად გაგვბერაო. ჩვენი ნუგეშ ცემის იმედს აწი ნუ ელითო,

ნარის გლეჯის დრო წავიდა დღეს სხვისა ხელითო. ცეკავ, მარჯვნივ! ცეკავ, მარცხნივ! ცეკავ, ასკი-კუკუ თქვენისთანა ლიდერებსა თვალში ასი კუკუ!

ციხიდან ამ დროს ფეხის ფრჩხილებზე გლეხის ტანსაცმელში, ქალამნებით, ნაბადში გახვეული გამოდის მურმანი, გადიგდებს მხარეზე ნაბადს და შუა სცენაზე ასრულებს სიმღერით პატარა კახის არიას:

„ძლივს მარტო დავრჩი!... ოხ, რა კარგია კომუნის ნიჭი, თავისუფლება! რად მინდა, რომ ვარ მე მენშევიკი, და რაში მინდა ცეკის წულობა,

სრულიად საქართველოს მენშევიკების კომპოზიციის, ჩვენი ახალგაზრდა კომპოზიტორის **ონავარის** მიერ და დადგმულ იქმნა ყრილობის დასასრულ ცნობილ ღირიერის **ონისიმეს** მიერ და ისეთი ენტუზიაზმი მოახდინა ყრილობაზე, რომ რედაქციამ გადასწყვიტა მისი დასტამბვა, როგორც ისტორიულ დოკუმენტებისა სურათებით. სცენა წარმოადგენს ტრიალ დაცემულ მინდორს. სცენის სიღრმეში მაღალ ფერდობზე მარჯვნივ მოსჩანს ქ. პარიზის მიდამოები და ვერდენის ციხე; ციხის აივანზე მოსჩანს რამდენიმე აკვანი, რომელშიაც თასმა არტახებით ჩაქრულ ჩაბოჭილ არიან მენშევიკთა ცეკას წევრნი და ძილ დამფთხალნი ერთი ვაი უშველებელს გასჩხავიან. ანტანტის წარმადგენელნი, პუანკარე და ძმანი მათნი, არწევენ აკვანს და თან დამღერია გულგრილად და წარბ-შეუხრელად:

თუ ჩემს ნებაზე ბიჯსაც ვერ გავდგავ? უნდა მივდიო მათ მაცდურსა გზას. მძიმე უღელი დავსდგა ჩემს სიყრმეს და შევაკვეცი ფრთები გულის თქმას!

(შორიდან სალამურის ხმა მოისმის).

ჩუ... სალამური! მწყემსია სწორედ! აი, სად არის ბედნიერება! ცხოვრობს თავისთვის კომუნის შვილი, და გულს უსრულებს, რაც ენატრება!

(მურმანი დაჯდება და ყურს უგდებს სალამურს).

ვიშ!... რა კარგია ეს სალამური! როგორ იტაცებს გრძნობა-გონებას, სიამით ჰხიბლავს უსაზღვრო სურვილს.

და აფერადებს ჩვენ შემცდარ ცნებას!
მიგვაფერეს საღვთო, ლაფეარდ სივრცეში,
ელემის კილით, კომუნურ მხარეს,
და აქ ანათებს ნათლის კავშირით
ჩვენს სიტკბოებას და ჩვენს სიმწარეს...

ამ დროს სცენის ბოლოს აიხდება ფარ-
და და გამოჩნდება აზღვავებული ხალხი,
რომელიც სიმღერით შეუქცევს მურმანს.
ხალხი. მურმან, მურმან, ტურას მზესა,
გვითხარ ცეკა რა დღეშია?!

(მურმანი ფეხზე წამოიჭრება და შესძახებს)
მურმან. — რას კითხულობთ, ცნთა სწორნო,
მკვდრის მოკითხვა რა რიგია!
ხალხი. ჩვენთან იყო ამ მოკლე ხანს,
გვიბრძანებდა, ბატონობდა,



ბურჟუეზიების ყოფა წყობას,
წყევლა კრულვით სპობდა, გმობდა.
ეკლესიის მოციქულთაც
არ ინდობდა, მედგრად სდევდა,
დღეს კი ამავე ბურჟუეზიის
უკისრით ლაქიობა,
ბურჟუეზიების გაზეთებში

გააქვთ ბრახუნ-ბაჭიობა.
ღმერთსაც ეხლა დიდ კელებტრებს
უნთებენ, ლოწინიან ჩვენ მტრებს,
აღარ გვჯერა ახლა ცეკის
არც დანარჩენ ცრუ ესდევს...
მურმანი. მართალს ბრძანებთ, თუმცა ცეკამ
მეშებს ზურგი აგვიქცია,

რა ვქნა, როცა ცეკა თვით ღმერთს
ჩემთვის ცოლათ მოუცია.
...მოვალე ვარ ჭირს გაუძლო,
დე-გადამხდეს, რაც რომ არი,
დედინაცვალი პირში ნაცარი...
(სიმღერით გარბის ციხისკენ).
ონავარი.

საპირო განმარტება.

ამ წერილის მიზანია ერთგვარი განმარტება მისცეს „ნაციონალიზაციის გატარებას“.

სიტყვა „ნაციონალიზაცია“ უცხო სიტყვაა და ამისათვის ყველამ იცის, არ არის საჭირო მისი განმარტება. ხოლო სიტყვა „გატარება“ ქართულია და ამისათვის ბევრმა არ იცის და საჭიროა მისი განმარტება.

„ნაციონალიზაციის გატარება“ ყველა დაწესებულ ებაში მოხდა და ვისაც ეს არ სჯერა, ის „ურწმუნო თომა“ ყოფილა და მას ვერც იაპონიის მიწის ძვრა დააჯერებს, თუ თითონ არ მოჰყვა ქვეშ.

აგილოთ „მატარებელი“.
ის მოძრაობს... ერთი ქალაქიდან მეორე ქალაქში გიდაჰყავს მგზავრები და ამიტომაც ჰქვია მას „მატარებელი“.

სადგურში, მესამე ზარის შემდეგ მატარებელი დაიძრა. **გამატარეთ**, იძახის ვილაცა და მიიჩქარის. აბა, სცადეთ და შეაჩერეთ ის. თავს ცხრად გაგიტყენს.

დღეს დილით ჩვენს ქუჩაზე ტუსაღები გაატარეს.

შრომის ბირჟაში ვილაცას ბედმა გაუღია და გამოუძახეს. **გამატარეთ!** ყვირის „ბედნიერი“ და არღვევს „უბედურთა“ ზვირთს... ილტვის „ბედნიერების კარებისაკენ“.

ბავშვი სტირის. დედა მოსამსახურეს ეუბნება: „**გამატარე** ბავშვიო“. გოგო ბავშვს ხელში აიყვანს და ერთი კუთხიდან მეორე კუთხისკენ ატარებს. ქუჩაში მაწონს ვირით **ატარებენ**. ე. ი. ვირი ქუჩებში დადის¹⁾ ეს ერთი.

მეორეც: „ნაციონალიზაცია მიდის“, ამბობენ.

აქაც სიჭიროა გავიგოთ ცნება „მიდის“. პეტრე ხვალ ფოთში მიდის. მიდის, იქნებ ვერც კი ჩავიდეს... მატარებელი, ზღვა, ყველაფერი საფიქრალია.

მტკვარი აღმა მიდის ე. ი. მტკვრის წყალი მიდის და მიედინება...

¹⁾ უკაცრავად, ამაში არ გეთანხმებით, არც ის გამოადგებათ საბუთად რომ ვირი თავს აქნევდეს ამ დროს. ყველა თავის კანტური თანხმობის ნიშანი არ გვგონოთ.

კომისრის ცოლი თეატრში მიდის. მაგრამ მივა კი თეატრში?²⁾
პარალელი ხაზები დაუსრულებლად მიდის და მიდის.

შენი თავი ჯანდაბაში მიდის³⁾.

აღნიშნულ მაგალითებიდან ყველა ადვილათ მიხვდება (ამისათვის არ არის სოლომონის სიბრძნე საჭირო) თუ რას ნიშნავს „ნაციონალიზაციის გატარება“. ან კიდევ: „ნაციონალიზაცია მიდის“.

დეკრეტის რა ბრალია, თუ „ნაციონალიზაცია“ ისეთი თავხედილია, რომ არ ემორჩილება კომპარტიის XII ყრილობას: დადის დადის და არასდროს არ იცდის?

არც მისი ბრალია ეს. მისი მხოლოდ **გატარება**ა საჭირო და ეს კიდევ ხდება.

„ნაციონალიზაცია“ უზნეო ბავშვია, რომელიც ყოველთვის სტირის და მხოლოდ მაშინ ისვენებს, როცა **ატარებენ**.

ბ. ც. ი. ხინველი.

¹⁾ ისიც მოხდება, რომ სადმე გზაში ვინმესთან „შეუხვევს“.

²⁾ ჩემი არა და შენი—კი!



მესტპირული.

კვლავ გუდას ხელი მოგვიდევ,
კვლავ ავამღერე სტვირიმე:
უნდა ვაუწყო ქვეყანას,
თუ რაზე ვსწერ და ვსტირიმე.
აბა, ჰა, ჩემო გულუნავ!
შენ მომიმართე ხელია:
იქ მივანათოთ მზის სხივი,
სად უკუნი და ბნელია!
ამხელად „ნარპიტს“ ვესტუმროთ,
კავშირსა, ჩამორჩენილსა,
(ფრთხილად მოვიქცეთ აქ ჩვენზე
ბევრი ილესავს ჩლუნგ კბილსა!)
მათ ვუთხრათ: „კანცელარშინა“
შემოგილიათ ძლიერი,
თხოვნებს არ იღებთ წვერთაგან,
თუნდ იყვეს იგი მშვიერი,
და უმუშევრებს თხოვნებით.
გზავნით „მესტკომის“ ბინაზე,
(ხან უნებლიეთ და ხან კი
„მოკრიტიკეთა“ ჟინაზე.)
ცულდა ხალხს ვარს ეუბნებით
ფულებით დახმარებაზე,
(თუმც ამ საგანზე ხმა-მაღლა
ხშირად გაჰყვირებთ კრებაზე).
და ჩარჩ-ვაჭარს კი, რომელიც
ჩვენზე ილესავს კბილებსა,
მას სესხად (!) აძლევთ ოთხასსა
ასას მილიონ ფულებსა.
ნუ თუ კავშირის ფულებით
უნდა ძლიბოდეს ვაჭარი,

და ჩვენ კი, კავშირის წევრებს,
დღეები გვადგეს აქ მწარი?!
იქნებ აგვიხსნათ, სად არის
აქ „ძაღლის თავი, დაფლული“,
და განგვიმართოთ, თუ რისთვის
ვაჭარს ასესხეთ თქვენ ფული,?!
და შემდეგ კიდევ... მაგრამ სტოპ!
ხალხია ფიცხი გულისა:
ყბებსა ჩაგვამტრვევს, თუ ამან
ისინი გააგულისა!..

ზომბეთელი.

შ ა რ ა დ ა

არ იქნა, ვერ ვუღალატე,
რაც კანონი და წესია:
„ჩვეულებათ“, ამბობენ:
„რჯულზედაც უმტკიცესია!“
და ისევ ორი სიტყვისგან
უნდა შევკერო შარადა:
პირველად ვნახოდ საგანი,
მეორედ მოსახმარადა.
ქვაა მაგარი, მაგარი
მას სხვა საგანი რომ ხედება,
მყის საოცარი მოვლენა
სასწაულივით მოხდება:
განხდება ელვის ისრებათ
მუნ ცეცხლის ნაპერწკლები,
დიდი სიფრთხილე გჭირიათ
რომ არ ამოგწვას თვალები!..
ეხლა მონახეთ მეორე
საგანი, სურნელოვანი,

ნაზი, მორცხვედი, ლურჯ-თეთრი,
თან მწვანე ქათიბოვანი,
ვაზაფხულს თვალს რომ გაახელს,
ყველა მას ეტრფიალება,
ის კი ბუჩქებს და ღობისძირს
ეფარვის და იმალება.
გააპეთ ის და შუაზე
თქვენ მოათავსეთ პირველი,
და არ მე, არამედ თქვენ ხარო
შარადის გამომწირველი!
მხოლოდ როს ამ თქვენს ნამოქმედს
თვითვე ჩახედავთ თვალებში
და ზღვის მოდილო კუნძულსაც
შენიშნავთ იმის ბრწყინებაში,
პირდაღებ უნდა გადანთქას,
ზღვის ლოკოკინა ჰგონია,
რადგან იმის სურვილი
სხვისი სისხლი და ქონია,—
თქვენ თითონ შეცავთ ხარდებით
თავი ამ მძიმე ყოფაში,
რომ ხელგასვრილი თქვენც დარჩით
შარადის გამოცხობაში!..

ენუქა.

ჭკუის კარუსელიდან:

„რურში თქვენ ნახავთ სხვა და სხვა ტიპის
ინგლის დამალულს, საფრანგეთის ღიპს“

არ მიღალატებს, მგონი, ეგ სიცხე,
რადგან სიფრთხილით ჭკუა მაქვს სველი.
კალამო, აბა, ქირიმე, მისცხე:
ამუშავე შენ კარუსელი,
რომ დავსწვავთ ქვეყნად სულის ტალია
და ევროპის ღიპს წაფუსვავთ ზეთი,
თორემ, ხომ ხედავ, დღეს იტალიამ
როგორ აწამა ეს საბერძნეთი?!
გერმანიაში დაკარგა ნდობა,
რურის შემყურეს აეწვა კული,
თვის დასაჭერი ქსელი გალობა
და საფრანგეთი გამოდგა ქურდი!..
ინგლისი ვითომ დღეს დიპლომატობს,
ნუგეშებს აძლევს თვით ოკუპანტებს,
სტერლინგს, სტერლინგზე კი ჩუმად აწყობს
და მით მიირთმევს მსუქან კუპატებს.
მან დააპირა რუსეთთან ხრიკი,
წამოაყენა ულტიმატუმი,
მაგრამ გაუსხლტა ხელიდან ხელიკვი:
ველარ მიართვეს ბაქო, ბათუმი!..
ოხერ ტიალი თურმე ანტანტა,
მისთვის აწყობდა ჩუმად მულამებს:
ინგლის კერავდა „საქმის მანდატად“
სტამბოლს აძლევდა ხასან-მუხამედს.
მაგრამ ჩამოსძვრა „ლიბზე“ შარვალი
და უშნო ჩონჩხი ველარ დამალა:
მოუსპო რუსმა ზღვაზე სავალი
და დარდანელი იპყრო ქემალმა!
ალბად, კვლავ ფიქრობს ისევ რუსეთზე
ინგლისი ხარბი და არამზადა!
საბრალო! ვერ გრძნობს ხიშტებს მუცელს
შიგნით, მუშებმა „რომ დაამზადა!“
კუნოც ფიქრობდა, რომ სწყალობს ჟამი
ნემეც მუშებზე გაბატონების,
მაგრამ მიართვეს მას პატრიქანი.
და ჰკრეს პანდური „გაპარდონების“.
ზედ შტრენგმანი ამოტივტივდა,

„უპატრონო ეკლესიას —
ეშმაკები დაეპატრონებინაო“.
(ხალხური ანდაზა)



ნიანგი: შეიძლება ამხანაგ კომისარის ნახვა?

თანაშრომელი ქალი: კომისარი არ არის.

ნიანგი: როდის იქნება?

ქალი: კომისარი არ არის!

ნიანგი: მე გეკითხებით, როდის იქნება მეთქი?

ქალი: მე გეუბნებით, კომისარი არ არის მეთქი!

ნიანგი, რომელსაც ჰგონია, თუ ქალი ყრუა — ხმა მალა: მე გეკითხებით კომისარი როდის იქნება მეთქი?!

ქალი, რომელსაც აგრეთვე ჰგონია, თუ ნიანგი ყრუა — უყვირის: მე გეუბნებით, რომ კომისარი არ არის მეთქი!..

დიდხანს იყვირებდნენ ნიანგი და ქალი, რომ მესამე პირი არ ჩაროდა საქმეში და არ გამოერკვია კომისარიატის უკომისრობა...

სა. ამავე თანამდებობაში ერთგულად განვაგრძობ მუშაობას სასახლეში და აქაც ვარ უძლეველი.

მაინც რომელ პარტიას თანაუგრძნობთ —

გოსპერაში უთავბოლოდ მოხეტიალეთა პარტიას.

რაში გეძლევათ პენსია —

ჩემს ახოვანობაში.

ჩანჩურა.

პაი რეჟისორისაგან.

(გადმოკეთებული მ. ოსიპოვიჩისაგან).

— ცოტა არ იყვას მოუწყობლობა მეფობს თქვენს ბინაზე: არც რბილი მებელი, არც საწერი მაგიდა, არც შკაფი, არც განჯინა... ერთი სიტყვით, სრული უდაბნოა, მზრუნველობით და თანაგრძნობით მეუბნება ჩემი სახლის პატრონი ამ დღეებში.

რაშია საქმე? გაეფიქრე მე და ცოტა გაოცებით მივუგე: „დიას, ცოტა უხერხულობა არის რა გაეწვობა! „როგორც გიჭირდეს, ისე გიღირდეს“, ნათქვამია“.

— არა ტყუილ-უბრალოდ რად უნდა გაიჭიროთ, არ მესმის, ღმერთმანი!.. აი, თქვენი პატარა ქალი! არც იმდენათ პატარაა და უბრალო „სასტვენს“ კი აჭყვინტინებს ყოველ დღე. ეტყობა, მუსიკა უყვარს და შესაფერ იარაღის უქონლობისაგან კი ილუპება ნორჩი ნიჭი. ყველა ეს კი იმის გამოა, რომ ნამდვილი როიალი არა გაქვთ.

„აბა, საიდგან მექნება როიალი!“ კიდე უფრო გაოცებით მივუგე მე.

ანკეჟა.

სახელი და გვარი — ვირ-ეშმაკა.

ეროვნება — — — საუბედუროდ, ქართველი.

წოდება — — — მოვანზე სპეკულიანტი.

პროფესია — — — ფაქტიურად, მუქთა კუბოში წოლა, ფორმალურად, პედაგოგი.

რა დარგი გაინტერესებთ —

გამოჩენილ მწერალმოსნების თხუზულებათა მითვისება და თავის სახელით გამოცემა სკოლებში სახმარებლად, მეტადრე მივარდნილ სოფლებში, როგორც მაგალითად. სოფ. მელაურში.

რა დროიდან მოღვაწეობთ —

იმ დროიდან, რაც ეს გამოჩენილი თხუზულე-ბანი გამოემლანდა.

სახელი თქვენი თხუზულებისა —

„კაცია ადამიანი,“ოთარანთ ქვრივი, ლუარსაბ თათქარიძე, დიმიტრი თავდადებული, პატარა კახი, სურამის ციხე, გველის მჭამელი, ბახტრიონი და სხვა და სხვა...

რომელ პარტიას ეკუთვნით —

მოსტაცე და გაიქეც.

კიდე რომელ პარტიას თანაუგრძნობთ —

იმათ, ვისაც გონორარის გასწორება ეზარება.

რაში გაძლევენ პენსიას —

აი, ამ სპეკულიაციაში.

2. სახელი და გვარი ელფეთერიხ პოდლეზნი.

ეროვნება — — — ჩამომავლობით, კახი.

გარეგნულად, რუსი.

პროფესია — — — ფალავანი მთელი მსოფლიოსი.

რა დარგში მოღვაწეობთ —

ცირკის არენაზე. ჯერ უძლეველი. წამიქცევია ყოფილ თავად აზნაურობის მარშლები, როგორც ყოფილს მათ მდივანს. ამავე თანამდებობაში წამიქცევია ყველა პრემიერები ყოფილ მენშევიკურ მთავრობი-

როდის დაიწყეთ მოღვაწეობა —


უხსოვარ დროიდან, „მზრის სასამართლოში“ გადამწერად ვიყავ და შემდეგ დავწინაურდი.

თხუზულებათა სახელწოდებანი —

მსუბუქი ეტიუდ-პეიზაჟები, წყალ-წყალა მუსიკალური რეცენზიები გაზეთ „ლომისში“. უკანასკნელი გენიალური თხუზულება ჩემი გახლავთ „ვანო სარაჯიშვილის ბიოგრაფია“, ინიციალებს ქვეშ მოცხად ამოფარებული.

რომელ პარტიას ეკუთვნით —

ჩემის აზრით, ისეთი დიდი ბელეტრისტი და მუსიკალური კრიტიკოსი, როგორც მე ვარ, არც ერთ პარტიას არ უნდა ეკუთვნოდეს. არამედ ყველას ერთად და ცალ-ცალკე.



მკედელი შუბლ-მაგარი.

„ზოგისა ბამბა ჩხრიალებს,
ზოგის კაკალიც არაო“.

ხალხური ანდაზა.

ზოგ მკედლის მკლავი შანთს ძლივ სჭედს,
ზოგ შუბლმა გრდემლიც ჰბზარაო!..“

ნიანგის დამატება.

— შესაძლოა კი იყო, რომ გქონოდათ!
მრავალმნიშვნელოვანად მეუბნება სახლის
პატრონი.

— აბა, რა ნაირად! შევსძახე მე და ძლივს
შევიმაგრე თავი აღშფოთებისაგან.

— აი, თუ გნებავთ, მე შემეძლო დამეთ-
მო თქვენთვის დროებით ჩემი ძვირფასი
როიალი.

— „როგორ? ამას წინაზე თქვენ მე ერთი
ფეხებ—მორყეული სკამიც კი არ მათხოვეთ
და ეხლა როიალს მითმობთ?!..“

— ე, შენც ერთი, სკამზე რომ ლაპარა-
კობ. ჯერ ერთი, რომ ეს ის დრო იყო,
როცა ოჯახის მორთულობაზე გადასახადის
შესახებ არაფერი არ ისმ... ფუი, ეშმაკს!
რაებს ვლაპარაკობ?.. ერთი სიტყვით, მა-
შინ მე სკამი ძლიერ მესაჭიროებოდა. ეხლა
კი დიდის სიამოვნებით შემიძლია დაგი-
მთო სარკიანი შკაფი, ნამდვილი ნიგვზის
ხისა, შავი, თუ გნებავთ, დივანი, რბილი
სკამები, თუ საჭირო ექნება, მთელი ღუფი-
ნი, ბეკერის საუკეთესო როიალი...

დიდათ გმადლობთ! მოკლედ მოგუთქერი მე.

სახლის პატრონმა ეს სრულიადაც არ შე-
იძინა და განაგრძო. რის მადლობა, რა
მადლობა, მე თქვენი პატივის ცემისათვის
არაფერს არ დაიზოგავ, თქვენ ისეთი კარ-
გი მდგური ხართ.

დიდათ გმადლობთ!.. მეტის მეტია შექ-
ება!..

— რასა ბრძანებთ? ქება კი არა სრული
ჭეშმარიტებაა: თქვენ თითონ არ იცნობთ
თქვენს თავსა. მეც ამიტომ თქვენივე სარ-
გებლობისთვის და ზედმეტი პატივისცემის-
თვის გითმობთ დროებით სახმარად: წყვილ
რკინის უროტს, ტუმბოჩებს, სტატუეტე-

ბით, სპარსულ ძვირფას ხალხებს, კედლების
მოსართავად, კედლის...

„მოითმინეთ!“ შევიყვარე მე: „ყველაფერი
ეს ჩინებულია, მაგრამ გადასახადი ამებზე
ვინ უნდა გადაიხადოს?!“

— რა გადასახადია, რას ამბობთ?

„აიის, წელან რომ წაგცდათ: ოჯახის მორ-
თულობაზე გადასახადი.“

— ახ, რას ამბობთ... მე თქვენს სარგებ-
ლობაზე გელაპარაკებით და თქვენ კი გადა-
სახადს იმიზეზებთ. განა, ღირს ამაზე, ლაპა-
რაკი? გადასახადს არც არავინ არ გადიხ-
დის. თქვენ იქ, სადღაც სარდაფში ზიხართ,
ვინ შეიწუხებს თავს, რომ თქვენამდე ჩამო-
ეშვას? არც კი მოგაკითხავენ.

„მე არ მომაკითხავენ, მაგრამ თქვენ ხომ
მოგაკითხავენ?!“

სახლის პატრონს ფერმა გადაჰკრა და
გველის ნაკბენივით წამოიჭრა.

— მე თქვენი სარგებლობისათვის მხო-
ლოთ... როიალი მაინც რომ წაგელოთ, არა-
ფერს დაგიშვებდათ...

რისიღაც თქმა კიდევ უნდოდა სახლის
პატრონს, მაგრამ, ალბათ, მიმიხვდა გულის
ცემას და ამოძუებული ძალად გასწია
კარებისაკენ.

კარებთან შესდგა და მობრუნდა, ალბათ,
რადღაც ახალმა აზრმა გაუელვა თავში, მაგ-
რამ ჩემს სატანისებურს გამომეტყველებას
რომ თვალი მოჰკრა, ხმის ამოუღებლად გა-
ტრიალდა და ცბიერი გველივით თავისი
„სოროში“ შეიმალა.

მ6.

საქართველოს შვილი

საქართველოს შვილი ვარ,
ჩაცმული დავიარები,
სუყველას ყვლეფს და მე მაცმევს,
მამას კი ვენაცვალეები...

დედასაც კარგათა მოსაგეს
ძვირფასი ძოწეულებით,
ჯიბე უბე და კამოლი
სულ მთლად სავეს გვაქვს ფულებით.

ქუჩაში როცა გავივლით,
ჩვენზედ რჩებიან თვალები...
გვინახავს დიდებულათა,
მამას კი ვენაცვალეები!..

უდიდეს საწყობებშია,
ხომ იცით, თუ რაცა ხდება?
ერთი ორი დღის შემდეგ ის
სულ მამა ჩემთან გაჩნდება.

სულ რამდენიმე წუთებში
ჯიბეში ჩადებს ასებსა,
ოქროთი, ლირებით ავსებს
მამა თვის ფარულ კაღებსა!

მაკლერებიცა ბევრი გვაყავს,
მიმოგზავნილი გარეთა,
ვაი, იმათი ბრაალია,
ვინცა რომ ოფლს ღვრის მწარეთა.

ჩვენ აქ მუდამიღვ ღვრის გვაქვს,
ღამითაც ვმართავთ ბაღებსა,
უთვალავი აქვთ ფულები
ჩვენთან „სტუმრად“ მყოფ ქალებსა!

ზეიმს რომ გავათავებთ და
გავმართავთ თამაშობასა,
გოდრებით ფულებს ვაგროვებთ,
ფიცავ თქვენს ალალ ძმობასა!...

ფორმისთვის ხალათებს ვიცვამთ,
წელზედაც ვირტყამთ კისტებსა,
ქვეყნისა მატყუარები
ვგვევართ ჩვენც კომუნისტებსა!..

გ. შინათხელი.

ქრონიკა.

ახალი ტიპის დედოფალი.

ყოფილ დაშნაკების ორგანიზაციამ
დაარსა საბავშვო სათამაშოების ფაბრიკა.
უკვე გამოიგონეს ახალი ტიპის დედოფა-
ლი, მას ორი პირი აქვს: მარჯვნივ მოაბ-
რუნებ—დაშნაკია, მარცხნივ—კომუნისტი.
ამ გამოგონებას დიდი გასაუფალი აქვს, მე-
ტადრე ჩვენში.

მწერალთა კავშირში.

საქართველოს მწერალთა კავშირში
ჩაწერილია 463 მწერალი, მხოლოდ ლექსი
დასწერა წრეულს 4, მოთხრობა 6, და პი-
ესა კი 03. ყველა ეს ნაწერები ინახება მთა-
ვარ სამხატვრო კომიტეტის თავმჯდომარის
დაკეტილ ყუთში.

პატივისცემა.

8 დამსახურებულ პედაგოგს და კომპო-
ზიტორს ია კარგარეთელს გაუდიდეს პენსია
5 მანეთით, მისი 35 წლის მოღვაწეობის
აღსანიშნავად. ქალაქის აღმასკომმა დაად-

გინა დაერქვას ნომინალურათ ქალაქის ერთ ერთი ქუჩის მისი სახელი, მხოლოდ ფაქტიურად სახელის დარქმევა კი მოხდება, მისი 70 წლის იუბილეს შესრულების შემდეგ.

ვინაიდან საქართველო მენშევიკების ყრილობამ „თავისი“ პარტია დაშლილად გამოაცხადა, ყრილობის გარეშე დარჩენილი მენშევიკები გადაირიცხა უსულოთა სამეფოში.

ყოვლად „უპატიოსნესს და ღრმად პატივცემულ“ ალექსანდრე ხატისოვს, დანაკთა პარტიის დაქუცმაცების შემდეგ, მიეცეს ნება თავის „სამშობლოში“ დაბრუნებისა, რათა დაშნაკრულ გვამებს მოუაროს.

თბილისის აღმასკომის დადგენილება სიმთვრალის წინააღმდეგ იწვევს დიდ უკმაყოფილებას მოქვეყნეთა შორის, ამიტომ ნება ერთვის მილიციას ეს დადგენილება ჩაატაროს „აბრატნი სმისლით“.

დაუყონებლივ გავგზავნა დეპეშა ბერლინში დოსტაქარ მუხაძეს, რათა შეუკეთოს შესაფერი შრატი „რვა ნათესა ვთა“ მუშუქის წინააღმდეგ და ჩამოსვლის თანავე გადასცეს ჯანსაზღვრად.

ფ ლ ს ტ ა.

სადმე ბილუნეთელს.

კარგია ბოლოს
 „მარადის მარად“,
 თითონ ლექსი კი
 არა ღირს არად!

იკვე. იმასვე. ნუ თუ არ იცით, რომ სადრაჯოზე დგომის დროს გარეშე პირთან ლაპარაკი არ შეიძლება, არც სხვისთვის რაიმე დახმარების გაწევა. თუ კედლის ტილი მართლა შენიშნეთ იმ ტურფა ქმნილების მუხლზე, თოფი უნდა დაგეხალათ, თუნდაც ავაზაკ კედლის ტილს „საგულისხმოთ“.

აქ. ბიძია სენიას. ეს დიდი სენი დაგჩემბით, რომ სანაიანგო წერილების წერილობითი მიგვიყვიათ ხელი. თუმცა საღვთო წერილში ნათქვამია: „ოდეს მარჯვენამან შენმა არ გარგოს შენ, აღიღე და წარიკვეთ“—ო, მაგრამ ჩვენ ამას ვერ გირჩევთ, რადგან თქვენს წერილში, მიუხედავად მისი „გაქანებულიობისა“, არის „კბილიანი“ ადგილები, მაგალითად, აი თქვენი ახალი ტერმინი „რადიოჯორი“ და გაზეთ „ტრიბუნის“—ათვის სახელის „ტრიფონად“ შეცვლა.

ქუთაისში. ლეჩხუმელ პიმპილას. თქვენ იწვევით, რომ დაპატიმრებულ მიტროპოლიტ ნაზარის დროებითმა მოადგილემ, დავით კაჭხიძემ, დაიბარა იმერეთში თავისი ნათესავები მეგობრები და, ღირსების განურჩევლად, ზოგი აკურთხა, ზოგიც ლეკანოზობით დააჯილდოვა, ისიც იმ დროს როდესაც ხალხმა ეკლესიები დაჰკეტა და მღვდლები ყველა დააპატიმრა.

მეოც და სადაა ეს ხალხი? რათ არ მოუფლის ჩამორთმეულ ქონებას? აი, ამაზედაა



მეჩისეთა სიმღერა მირონოვის აბანოში.

„მთის ძირით წყალი, ანკარა,
 შესდის და გაედინების...
 მობანავეთა დაზელა
 შენცა ნუ მოგწყინდების!..“

ონისიმე შოთელის პოემიდან „აბანოში“.

ნათქვამი: „უპატრონო ეკლესიას ეშმაკები დაეპატრონა“.

აქ. ყარამანიშვილს. თქვენი დიოლოგი, ანუ სცენა ორ გლეხ შორის ისევ „მათ შორის“ უნდა დარჩეს, რადგან ყველაფრის გამომწვეურება შეუძლებელია, გიგინურის მოსაზრებით.

გარდა ამისა, პავლეს ცუდათ ხსენება „ნიანგში“ აკრძალული გვაქვს და თქვენი სცენა რომ მოვათავსოთ, სადაც პავლე ისეთი „უკბილოა“, მაშინ ხომ „ღვთის რისხვას“ ჩვენ დავიმსახურებთ.

საზოგადოთ ყველა დიოლოგი სცენა არაა, ისე, როგორც ყველა სცენა დიოლოგი არაა.

აქ. „ს. მელ“-ს. თქვენ ჯერ ის შეგარჩესთ, რაც შეცდომაში შეგვიყვანეთ და მეორეზე შემდეგ მოვილაპარაკოთ.

რაც შეეხება „მესამეს“, იგი ისე „მუყევა“, რომ არა მარტო მკითხველებს, ნიანგსაც კი კბილებს მოჰკვეთს.

ჩიხელს. ბლადიჩინზე წერა არ შეიძლება, ფოფოლიას გული წაუყა, ნიანგს კი ასეთი ლექსით არაფერი შეეძინება.

გარიყულს! თქვენ გინდათ, რომ თქვენს შარადაში გამოდიოდეს სიტყვა „ნგრევა“, რასაც თქვენის აზრით, სიამოვნებით შეცქერის პროლეტარი. ჯერ ერთი, რომ ასეთი აზრი შეუფერებელია პროლეტარზე, მაშინ, როცა ის უაღრესად აღმშენებლობითი მუშაობაში არის თავგარული, მეორეც, თქვენს შარადაში სრულიადაც არ გამოდის სიტყვა „ნგრევა“, არამედ „ნგრევავ“ თუ შევებარუნებთ კიდევ „ზავერგნ“ და სხ. ზოლო ვინაიდან ეს არის შარადის „ზეპირად წერა“, ამიტომ ნიანგმა დაადგი-

ნა: გავრცელდეს თქვენი შარადა ხალხში ისევე „ზეპირად“. ის რომ ნიანგში მოვათავსოთ, ჩვენც თქვენსავით გავიოცებით.

კახეთი. ქარ-იმერს. თქვენი „მალარია“ გადავუგზავნეთ მალარისთან მეტროპოლიტისათვის. დეე მან იმტეროვს თავი იმაზე, რომ მალარიის სამშობლო მართლაც ქიზიყია, როგორც თქვენ იწერებთ, თუ სხვა რომელიმე ადგილი, ზნეა ის, თქვენი არ იყვას, თუ ავადმყოფობა, ბედისა და უბედობის კონტაქტი შესაძლებელია, თუ არა? და ბოლოს წინადადებაც მივეცი ამ კომისიას, რათა თქვენც გამოგიწვიოს შესამოწმებლათ, შარშანს აქეთ, როცა თქვენ სიცხე აგვარდნათ თაფში, შესაძლებელი იყო, თუ არა თქვენი გამობრუნება იმდენათ, რომ თქვენი ნაწერის გულდამშვიდებით კითხვა შეიძლებოდა.

„ფინთის“-ს. მოაშორეთ უკანასკნელი ასო თქვენს ფსევდონომს და იხმარეთ ჩვენგან რეზოლიუციით თქვენს თხოვნაზე.

უმისამართოთ. პროფეტორს. სიტყვა „შარადა“ კი არ წარმოსდგება სიტყვისაგან „შარა“ და ისიც—გრძელი, ასე როგორც „პროფეტორი“ ყოველთვის არ აღნიშნავს საგანს, რომელიც ელვის სისწრაფით შეუქა ჰყენს სხვა რომელიმე საგანს, თუნდაც აი, შარადათ ამოჩენებულს. სცენა კი „დესპინას“ შესახებ აკრძალა საგადასახადო ცენტრმა.

ი. კუპრადისა, x-სა და სხვათა სცენები-სა შერაღთა საყურადღებოთ.

„კარგი და მოხდენილი სცენის დაწერას, ხაქაპურის ჭამა სჯობია“—ო, ბრძანა სოლომონ ზურგიელიძემ. ნიანგიც ამ „ბრძანებას“ იწონებს და ამოწმებს, შესაფერი ხელის მოწერით და სარედაქციო ბეჭდის დასმით.



ჯიჟიანი ცხოველი, რომლის მოხედებასაც ღღეს, თავის ნებითა და მისგან მოსალო-
 დნელი სარგებლიანობის სრულის უზენებით, ეტანება მუშა ხალხი.